საჯარო სამართლის
იურიდიული პირი

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი

LEGAL ENTITY
OF PUBLIC LAW

GEORGIAN TECHNICAL
UNIVERSITY

01-09-35/31

„15" 02 2018

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს,
ბატონ მერაბ ქათამაძეს

ბატონო მერაბ,

თქვენი 2018 წლის 12 თებერვლის №14/508-18 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიერ 1981 წელს გაცემული დიპლომი, სპეციალობით „მართვის ავტომატიზებული სისტემები", ინჟინერ-სისტემოტექნიკოსის კვალიფიკაციით (პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა 5 წელი) უთანაბრდება მაგისტრის დიპლომს.

„მართვის ავტომატიზებული სისტემების" (ინგლ. Management Information Systems) კათედრა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაარსდა 1971 წელს და საგანმანათლებლო პროგრამა ჰქონდა „ინფორმაციის დამუშავებისა და მართვის ავტომატიზებული სისტემები" (იგულისხმებოდა მონაცემთა *ელექტრონული* დამუშავების სისტემები გამოთვლითი ტექნიკის ბაზაზე). დიპლომის წარმატებით დაცვის შემდეგ სტუდენტს მიენიჭებოდა „ინჟინერ-სისტემოტექნიკოსის კვალიფიკაცია".

5-წლიანი სასწავლო პროცესის ძირითადი საგნები გახლდათ „სისტემური ანალიზი", „საწარმოო (ორგანიზაციული) პროცესების მოდელირება და მართვა", „მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები" (ინფორმაციის ელექტრონული შენახვის, გადამუშავების და გადაცემის საკითხები), დაპროგრამების ენები და ტექნოლოგიები (შეისწავლებოდა სხვადასხვა სფეროს ობიექტების საინჟინრო, ეკონომიკური, სამართლებრივ-ადმინისტრაციული, სოფლის მეურნეობის, სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის, ჯანმრთელობის, განათლების და ა.შ. ამოცანების პროგრამული სისტემების აგების ამოცანები). ეს ყველაფერი კი მოითხოვდა ორგანიზაციული მართვის მეთოდებისა და მოდელების ღრმად ცოდნას.

ანუ, „მართვის ავტომატიზებული სისტემების" სპეციალობა აძლევდა სტუდენტებს ელექტრონული გამოთვლითი მანქანებისა და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების კომპლექსური გამოყენების მეცნიერულ საფუძვლებს და პრაქტიკულ გამოცდილებას. ამიტომაც კათედრის კურსდამთავრებულები ხშირად საქმდებოდნენ და ახლაც საქმდებიან ორგანიზაციული მართვის სფეროში (მენეჯერების ან სხვა თანამდებობებზე).

შემოსულია №-6/809-18
15 02 2018
2 ფურცელი

✉ საქართველო, 0160, თბილისი, კოსტავას 77
☎ (995 32) 2365362
www.gtu.ge
E-mail: rectoroffice@gtu.ge

✉ 77, Kostava Str, 0160, Tbilisi, Georgia
☎ (995 32) 2365362
www.gtu.ge
E-mail: rectoroffice@gtu.ge

90-იან წლებამდე ყოფილ საბჭოურ რესპუბლიკებში ტერმინი „მენეჯმენტი“ ნაკლებად გამოიყენებოდა, ძირითადად „ორგანიზაციული მართვის“ სისტემებზე საუბრობდნენ, რაც დღეს სინონიმებად ითვლება. ასევე ახალი და აქტუალური ტერმინი „ელექტრონული“ ფართოდ გამოიყენება დღეს ცხოვრებაში, მაგალითად, „ელექტრონული მთავრობა“, „ელექტრონული ფული“, „ელექტრონული ანგარიშწორება“, „ელექტრონული კომერცია“, „ელექტრონული ხელმოწერა“, „ელექტრონული სწავლება“, „ელექტრონული ფოსტა“, „ელექტრონული საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა)“, „ელექტრონული კავშირი (ანუ კომუნიკაცია)“.

ყველა ეს სისტემა ეფუძნება თანამედროვე კომპიუტერულ ტექნიკას, ინტერნეტს (ვებ-სისტემები), დაპროგრამების მობილურ და ჰიბრიდულ ტექნოლოგიებს, მონაცემთა საცავებსა და ბაზებს  და ა.შ., რასაც, ფაქტობრივად, ჩვენი კურსდამთავრებულები ფლობენ და მათ ხელეწიფებათ ასეთი სისტემების შექმნა, ექსპლუატაცია და შესაბამისი პროექტების გუნდების ხელმძღვანელობა.

სწორედ ასეთი ელექტრონული გამოყენებითი კომპიუტერული სისტემების დაპროექტებას, პროგრამულ რეალიზაციას, მონაცემთა ბაზების ელექტრონული საცავების შექმნას და მათ ექსპლოატაციას შეისწავლის „მართვის ავტომატიზებული სისტემების“ სპეციალობა. ეს კი უფრო ფართო საკითხთა წრეა, რომელიც სრულად მოიცავს „ელექტრონულ კომუნიკაციას“.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ „განათლების საერთაშორისო სტანდარტულ კლასიფიკაციაში“ მოცემული განათლებისა და ტრენინგის სფეროების (ISCED-F 2013) დეტალური სფეროების აღწერაში მითითებულია, რომ სფერო 0714 - ელექტრონიკა და ავტომატიზაცია შეისწავლის ელექტრონული მოწყობილობების, მექანიზმებისა და სისტემების დაგეგმვას, პროექტირებას, განვითარებას, ექსპლუატაციასა და მონიტორინგს. იგი მოიცავს კომპიუტერებისა და საკომუნიკაციო მოწყობილობების პროექტირებასაც. შესაბამისი პროგრამები და კვალიფიკაციები კლასიფიცირდება შემდეგი ძირითადი შინაარსით: ელექტრონული ინჟინერია; კომუნიკაციის სისტემები; კომპიუტერული ინჟინერია; კონტროლის ინჟინერია;  მონაცემთა დამუშავების ტექნოლოგია; საკომუნიკაციო მოწყობილობების ინსტალაცია; საკომუნიკაციო მოწყობილობების ტექნიკური ექსპლუატაცია; სამაუწყებლო ელექტრონიკა; სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები და სხვ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი თქვენი – მერაბ ქათამაძის დიპლომი, სპეციალობით „მართვის ავტომატიზებული სისტემები“, ინჟინერ-სისტემოტექნიკოსის კვალიფიკაციით უთანაბრდება მაგისტრის დიპლომს ელექტრონული კომუნიკაციების მიმართულებით.

პატივისცემით,
რექტორი, აკადემიკოსი
არჩილ ფრანგიშვილი